



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გელოვანი გიორგი ბიძინას ძე



გ. გელოვანი

გელოვანი გიორგი (გოგი) ბიძინას ძე (I. II. 1924, თბილისი – 2004, იქვე), მსახიობი. საქართვე. დამს. არტისტი (1965).

დაამთავრა საქართვე. რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1945). 1949-იდან კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობია, სადაც 100-ზე მეტი როლი შეასრულა, მ. შ. ბიჭიკო (მ. ბარათაშვილის „მარინე“), რევაზი (ლ. არდაბიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), მირიანი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), გრაფი კენტი (ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“), ლევან ბატონიშვილი (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ჯიმშერ ხერგიანი (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), თენგიზი (ლ. თაბუკაშვილის „შენკენ სავალი

გზები“), ალექსანდრე („ძველი ვოდევნილები“ – ა. ცაგარლის ვოდევნილი „ონბაზი“) და სხვ. კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: გიორგი („დავით გურამიშვილი“, რეჟ-ები ნ. სანიშვილი, ი. თუმანიშვილი, 1946), თორნიკე და ყარაჩოხელი („ქეთო და კოტე“, რეჟ-ები ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი, 1948), ჯოლორია („მაცი ხვითია“, რეჟ. გ. შენგელაია, 1966), გირშელ ერისთავი („დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1969), კოსტა ბარანდია („დათა თუთაშხია“ რეჟ-ები გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1977), თომა („ნიგნი ფიცისა“ რეჟ-ები გ. ლორთქიფანიძე ა. დარსაველიძე, , 1983), თოფან-ბეგი („მეველუდი“, რეჟ ნ. სანიშვილი, 1985) და სხვ. გ. დაჯილდოებული იყო მუს. ნიჭით, სიმღერებს ასრულებდა სპექტაკლებსა და ფილმებში. არის ფილმის „ყვავილი თოვლზე“ სცენარის თანაავტორი (1959).

